INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდის (www.mdf.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 14 ივლისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

www.mdf.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,62%
76,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
7,69%
14,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
20,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
57,69%
21,10%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
28,57%
37,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
19,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
100,00%
69,60%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
29,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
25,00%
15,00%
0,00%
50,00%
100,00%
150,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმსარულებელი დირექტორის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აღმასრულებელ დირექტორს. აგრეთვე, არ მოიძიება ფონდის აღმასრულებელი დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



აღმასრულებელი დირექტორი და მოადგილეები

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი
ლევან ჭიჭინაძე
დაბადების თარიღი: 1972 წლის 9 მაისი
დაბადების ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი.
განათლება: 1978-1989 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა...
ვრცლად >>>

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, ფონდთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ ლაშა მგელაძე, რომელსაც ეკავა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილის თანდამდებობა, გადაყვანილ იქნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილედ, შესაბამისად მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის თავიდან არიდების მიზნით, სასურველია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდიდან ამოღებულ იქნას მის შესახებ არსებული მონაცემები (ბიოგრაფიული მონაცემები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები ელ-ფოსტა):

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე
დავით სირაძე
დაბადების თარიღი: 1977 წლის 30 დეკემბერი
დაბადების ადგილი: საქართველო, ქ. ოზურგეთი
განათლება: 1984 -1994 წწ ქ. ოზურგეთის N1 საშუალო სკოლა
1994-1998 წწ თავდაცვის სამინისტროს ,,გაერთიანებული სამხედრო აკადემია"...
ვრცლად >>>

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
ზურაბ ჩინჩილაკაშვილი
ტელ: + 99532 243 70 01(02)(03)(04)
ფაქსი: + 99532 243 70 77
ელ-ფოსტა: zchinchilakashvili@mdf.org.ge
ვრცლად >>>

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
ლაშა მგელაძე
დაბადების თარიღი: 1979 წლის 6 სექტემბერი
ტელ: + 99532 243 70 01(02)(03)(04)
ფაქსი: + 99532 243 70 77
ელ-ფოსტა: lmgeladze@mdf.org.ge
ვრცლად >>>

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ფონდის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი" მითითებულ ტელეფონის ნომრებს არ აქვთ აღნიშვნა, მიეკუთვნებიან თუ არა ისინი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიზნების /ფუნქციების აღწერა და ფონდის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. მართალია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „სტრუქტურა" (წარმოდგენილია სტრუქტურული ხის სახით), თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ კონკრეტული თანამდებობების დასახელებები, შესაბამისად სასურველია ვებ-გვერდზე მოყვანილ იქნეს არსებული სტრუქტურული ერთეულების ცალკეული სახელწოდებებიც:



7. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემდეგი სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება ფონდის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ფონდის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- არ მოიძიება ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ფონდთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ ფონდს გააჩნია მოქმედი სათათბირო ორგანო - ფონდის კოლეგია, შესაბამისად სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ფონდის კოლეგიის ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- ფონდის კოლეგიის სტრუქტურა და შემადგენლობა;

- ფონდის კოლეგიის სხდომების ოქმები და აგრეთვე სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და სტატისტიკური მონაცემები, ამასთან, ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახის ინფორმაციით, ხოლო განყოფილებაში „პროექტები“ და ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ მოყვანილი დოკუმენტაციის უმეტესობა არ არის ხელმისაწვდომი (არ იხსნება).

9. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღმასრულებელი დირექტორის და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები. აგრეთვე, არ მოიძება ცნობები დირექტორის მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

11. სასურველია განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც წლების მიხედვით განთავსებული იქნება ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მოხსენებები/ანგარიშები, რომლებიც ამჟამად განთავსებულია ალოგიკურ ქვე-განყოფილებაში - „პრეზენტაციები“:



12. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოქმედი დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ფონდმა უნდა აწარმოოს თავისი ანგარიშები საერთაშორისო საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად და პერიოდულად გამოაქვეყნოს ფინანსური უწყისები თავის ვებ-გვერდზე“, სამწუხაროდ აღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ მოიძება.

13. აღსანიშნავია,რომ განყოფილებაში „პროექტები“ განთავსებული 13 პროექტიდან - 9 „მომზადების პროცესშია“:

14. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა, აქვე განთავსდება ფონდის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვე-განყოფილებები - „სტრატეგია“, „ფოტო გალერეა“, „საიტის რუკა“, „ქვეპროექტების საძიებო სისტემა“ იუწყებიან, რომ „გვერდი მომზადების პროცესშია“:



16. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ფონდის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. მართალია, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება „სამართლებრივი აქტები“, თუმცა მასში არ მოიძიება ფონდის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აგრეთვე, არ მოიძება ფონდის აღმასრულებელი დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთან, უმეტესობა საკანონმდებლო აქტისა მოცემულია ძველი მდგომარეობით. სასურველია ამავე ქვე-განყოფილებაში მოიძიებოდეს ფონდის შინაგანაწესიც.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო

მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ფონდში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. სასურველია, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც მიმოფანტულია ვებ-გვერდზე სხვადასხვა ქვე-განყოფილებებში განცალკევებულად იყოს წარმოდგენილი შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში „ხელშეკრულებები“, სადაც მოყვანილი იქნება ფონდსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ფონდსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, თუმცა მასში მოიძიება მხოლოდ ერთი ვაკანსიის შესახებ განცხადება. აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში უნდა მოიძიებოდეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ფონდის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*:

ვაკანსიები

1. ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა შესყიდვების ოფიცერის ვაკანტურ თანამდებობაზე

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ფონდის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/ ფონდის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ფონდის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- არ მოიძება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
47,06%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
42,11%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
23,08%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8

- **ნავიგაცია**

მთავარ სიმბოლიკაზე დაჭერით, ქართული ვერსიიდან გადავდივართ ინგლისურ ვერსიაში რაც ძალიან არა ლოგიკურია და ურთულებს მომხმარებელს ვებ-გვერდზე ნავიგაციას, საჭიროა არჩეული ენის შენარჩუნება:

- **ძიება**

ვებ-გვერდზე უშედეგო ძიების შედეგად ყოველთვის არ გამოდის სათანადო შეტყობინება:

1. შეტყობინება არ გამოსულა:



2. შეტყობინება გამოვიდა:



შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ძიების ფუნქცია მოქმედებს ვებ-გვერდის მხოლოდ რამოდენიმე კატეგორიაში;

ვებ-გვერდზე არსებობს მოდული, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის ფილტრაცია თარიღის მიხედვით:



თუმცა, ფილტრაციის შედეგად მოძიებული ინფორმაცია გამოდის ახალ ფანჯარაში, სადაც ქრება ვებ-გვერდის დიზაინი:



ტენდერი	ტენდერის გახსნის თარიღი
1. ქალაქ ბათუმში 22 სახლიანი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა გზების, საინჟინრო ქსელების და ტერიტორიის კეთილმოწყობა	06.07.2011 / საათი: 12.00

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ელ. ფოსტების მისამართები ბოლოვდება mdf.org.ge-ით, როდესაც mdf.gov.ge-ით უნდა ბოლოვდებოდეს. ამავე დროს თავად მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალური დომენიც არ მოიცავს აუცილებელ gov აღნიშვნას და www.mdf.ge-ით არის წარმოდგენილი:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

მუნიციპალური განვითარების ფონდის გვერდი Facebook-ზე არსებობს, თუმცა ოფიციალურ ვებ-გვერდს და Facebook-ის გვერდს კავშირი ერთმანეთთან არ აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ოფ. ვებ-გვერდზე Facebook-ის და Twiter-ის ღილაკები არსებობს:



- **დამატებითი პარამეტრები**

საკონტაქტო გვერდზე დაფიქსირდა ცოტა უხერხული სიტუაცია, ოფ. ვებ-გვერდზე მითითებულია ვებ-გვერდის მისამართი:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე მთავარი პრობლემა არის AJAX-ის არასწორი კოდირება, მუშაობის პროცესში თქვენ აუცილებლად შეამჩნევთ ტექნიკურ პრობლემებს, ყველაზე მნიშვნელოვანი არის, ის რომ არასწორი კოდირების გამო ვებ-გვერდი 10-15 წამით წყვეტს ფუნქციონირებას. ამავე დროს, შეუძლებელია ამ ოპერაციის გაუქმება ან სხვა კატეგორიაში გადასვლა, მომხმარებელს გარდა იმისა, რომ დაელოდოს როდის გასწორდება პრობლემა, სხვა გზა არ აქვს.

მეორე მნიშნელოვანი ტექნიკური ხარვეზი არის Ajax-ის გამოყენებით რეალური ბმულების გართულება, ანუ: როდესაც გადავდივართ ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში ვებ-გვერდის მისამართი (ანუ URL) არ იცვლება, ამის გამო საძიებო სისტემები ვერ აინდექსებენ ვებ-გვერდს, მომხმაებელს არ შეუძლია რომელიმე კონკრეტული გვერდი, კატეგორია, ინფორმაცია და სხვა გაუზიაროს სხვა მომხმარებელს, გაავრცელოს იგი სოციალურ ქსელებში, მიაწოდოს დაინტერესებულ პირს და ა.შ.